

რეზიუმე

TEMPUS პროექტი "რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში"

2011 -2015 წწ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც კონსორციუმის წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ TEMPUS პროგრამის პროექტში "რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში" (#516911-TEMPUS-1-2011-1-DE-TEMPUS-JPCR).

პროექტის კოორდინატორია მაგდებურგის ოტტო ვან გუერიკეს სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია).

პროექტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე შეიქმნა და ფუნქციონირებს "ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკონსულტაციო ბიურო".

www.eelcb.com

პროექტის ფარგლებშივე ფაკულტეტზე შეიქმნა სამაგისტრო მოდული "ენერგეტიკა და გარემო", რომლის სილაბუსების ლიტერატურით უზრუნველყოფა მოხდა პროექტში მონაწილე პროფესორების ავტორობით შექმნილი შემდეგი სახელმძღვანელოებით:

1. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი. ენერგეტიკა და საზოგადოება (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 620.9(02)/12. -125 გვ.
2. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი. ენერგეტიკული უსაფრთხოება (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 620.9(02)/10. -136 გვ.
3. გ. არაბიძე, მ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი. სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ) პროექტები (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 620.98(02)/2. -113 გვ.
4. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. მიქიაშვილი, თ. ჯიშკარიანი. ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 658.26(02)/6. -125 გვ.
5. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი. ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 620.9(02)/11. -189გვ.
6. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი. ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 349.6(02)/2. -253 გვ.
7. მ. გუდიაშვილი, ლ. ბოჭორიშვილი. ენერგობიზნესის სამართლებრივი საფუძვლები (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. სტუ-ს ბიბლიოთეკის კეტერი: 347.733(02)/1. -105 გვ.
8. G. Arabidze, M. Gudiyashvili, T. Jishkariani. Power Engineering and Society (Textbook).

- Published by „Technical University“, 2015. GTU library- 620.98(02)/3. - 88 p.
9. G. Arabidze, M. Gudiashvili, T. Jishkariani. Energy Safety (Textbook). Published by „Technical University“, 2015. GTU library- 620.9(02)/13. - 101 p.
10. G. Arabidze, M. Arabidze, M. Gudiashvili, T. Jishkariani. Clean Development Mechanism (CDM) Projects (Textbook). Published by „Technical University“, 2015. GTU library- 621.98(02)/4. - 82 p.
11. G. Arabidze, M. Gudiashvili, T. Mikiashvili, T. Jishkariani. Energy Efficiency and Environmental Protection (Textbook). Published by „Technical University“, 2015. GTU library- 658.26(02)/7. - 86 p.
12. M. Gudiashvili, L. Bochorishvili. Basics of Energy Business Law (Textbook). Published by „Technical University“, 2015. GTU library- 347.733(02)/2. - 100 p.

პროექტის ფარგლებში, ასევე, ჩატარდა ტრენინგები და პრაქტიკული სემინარები, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, მათ შორის:

1. პრაქტიკული სემინარი სტოკჰოლმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. კონსორციუმის ხდომა ტემპუსის პროექტის ფარგლებში „რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში“. სტოკჰოლმი, შვედეთი, 2012წ;
2. პრაქტიკული სემინარი ჟირონას უნივერსიტეტში. კონსორციუმის ხდომა ტემპუსის პროექტის ფარგლებში „რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში“. ჟირონა, ესპანეთი, 2012წ;
3. ტრენინგი სტოკჰოლმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში - „მდგრადი ქალაქების სტრატეგიული დაგეგმარების მომზადება“. სტოკჰოლმი, შვედეთი, 2013წ;
4. პრაქტიკული სემინარი მაგდებურგის ოტტო ვან გუერიკეს უნივერსიტეტში. კონსორციუმის ხდომა ტემპუსის პროექტის ფარგლებში „რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში“. მაგდებურგი, გერმანია, 2014წ;
5. პრაქტიკული სემინარი ჟირონას უნივერსიტეტში. კონსორციუმის ხდომა ტემპუსის პროექტის ფარგლებში „რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში“. ჟირონა, ესპანეთი, 2014წ;
6. პრაქტიკული სემინარი სერვისის მსოფლიო უნივერსიტეტში. კონსორციუმის ხდომა ტემპუსის პროექტის ფარგლებში „რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში“. გრაცი, ავსტრია, 2014წ.

„ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის
საკონსულტაციო ბიურო“

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ) თვითდაფინანსებაზე მყოფი საფაკულტეტო სასწავლო/სამეცნიერო ერთეული - „ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკონსულტაციო ბიურო“ შექმნილია და დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ივნისის #940 დადგენილებით და სტუ-ს სენატის 2013 წლის 3 ივლისის #3 გადაწყვეტილებით; ბიურო შექმნილია TEMPUS -ის პროექტის „ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამართალში“ ფარგლებში და წარმოადგენს სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ფინანსურად დამოუკიდებელ (თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ) სტრუქტურულ

ბიურო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბიურო მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით, ის შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე შეკვეთებისა და შესაბამის ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, მისი დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. საჭიროების შემთხვევაში, ბიურო შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნის სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე.

საკონსულტაციო ბიუროს საქმიანობაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის აკადემიური წრეების თანამშრომლობის გადრმავება ევროპულ უნივერსიტეტებთან, რაც ითვალისწინებს:

- გამოცდილების გაზიარებას ევროპული სტანდარტების სფეროში;
- საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საგანმანათლებლო დღის წესრიგისა და პროგრამების შემუშავებას;
- თანამედროვე ლიტერატურის შექმნას;
- მასწავლებელთა უნარჩვევების ამაღლებაზე გამიზნული ტრენინგების ჩატარებას;
- სტუდენტთა სწავლას უცხოეთში;

- ფაკულტეტის მართვის გაუმჯობესებას;
 - ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და განვითარებას;
 - ფაკულტეტის არაკადემიური თანამშრომლების მომზადებას.
- ერთობლივი პროექტების განხილვა და სტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია:
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესება ან აკადემიური პროგრამების დახვეწა;
 - უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხის გაზრდა და ევროკავშირში მიმდინარე პროცესებთან მათი კონვერგენცია.

ევროპულ უნივერსიტეტებთან სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ტექნიკური და ეკონომიკური სახის ინფორმაციისა და მონაცემების ურთიერთგაცვლა:

- ენერგეტიკის სფეროში;
- ნახშირორჟანგის ემისიებზე;
- განახლება და მწვანე ენერჯიებზე;
- ენერგოპროექტებზე;
- ენერგოკონტრაქტებზე;
- ენერგეტიკული პროექტების მენეჯმენტის სამართლებრივ რისკებზე;
- საქართველოში გარემოს დაცვის სამართლის, როგორც სამართლის დარგის განვითარებაზე;
- საზოგადოებაში გარემოს დაცვის ცნობიერების ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.